ერთობა

თავისუფლება მხოლოდ ერისა და ეკლესიის მტკიცე კავშირით მოიპოვება მართმადიდებელთა ერთობას დიდება.

მისიონერული საზოგადოება "ლაზარეს აღდგინების" საუწყებო ეპისტოლე N 1 1990 წ.

აცხოვნე, უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ უფალო დიდება შენდა. ამინ.

არა დასცხრეს გულის წყრომაჲ ჩემი წინააღმდგომთა შორის. (ესაია 4,2, 3.)

"აღვადგინოთ მართლმადიდებლობის სული და გავილაშქროთ სარწმუნოების საწინააღმდეგო აზრის მიმართ. მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ქრისტეს მტრების მოგერიებას. თქვენ, საეროებმა უნდა დაიწყოთ. თქვენში ვრცელდება ბოროტი მარცვალი და თქვენვე უნდა აღსდგეთ. თქვენ ყველაფერს სასულიერო ფენას აბრალებთ. ნურაფერს დაიშურებთ სარწმუნოების დასაცავად. - ოღონდაც დაიწყეთ. დაე, ღმერთმა შეგვაძლებინოს, - თქვენც, ჩვენც, - გაერთიანება და ბრძოლა სარწმუნოების დასაცავად! - დაე, მართმადიდებლობის ქომაგმა წმინდა ნიკოლოზ განმანათლებელმა გაასხივოსნოს ჩვენი გონება და განამზადოს ჩვენი გულები ღვთისა და ეკლესიის სადიდებლად. - ეს არის არა მხოლოდ მარადიული ცხონების საწინდარი, არამედ ჟამიერი კეთილდღეობის პირობაც. ამინ " (წმ. ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული. ნაწყვეტი წიგნიდან, "მართლმადიდებლობის, მასთან ბრძოლისა და განდგომილების შესახებ").

მისიონერული საზოგადოება "ლაზარეს აღდგინების" არსი და მოწოდება

ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში მისიონერულ საზოგადოებათა კომპეტენციაში შედის რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი, მაგრამ ათეისტური დიქტატურის პირობებში ჩვენ ვაყენებთ ერის გაერთიანება-განთავისუფლების უმთავრეს პირობას - რელიგიურ გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეას.

ჩვენ ვაცხადებთ ლენინურ-სტალინური იდეოლოგიის რელიგიურ-სამართლებრივ ბოიკოტირებას. ჩვენი გამაერთიანებელი ფორმულაა, რელიგიური თავისუფლების მოთხოვნით — ერის თავისუფლებისაკენ. ამ საღვთო მოწოდებით უნდა გაერთიანდეს ქართველი ერი. მხოლოდ ჯვარი უნდა წარუძღვეს ერს თავისუფლებისაკენ, რამეთუ თანახმად ბიბლიური კანონისა, მხოლოდ ჯვარს ძალუძს ერის გაერთიანება. ღმერთმა მხოლოდ მაშინ შეიძლება ისმინოს ერის, როდესაც ეკლესიის თავისუფლებას მოითხოვს.

მამულიშვილნო, გეორგიანნო - ქრისტეს მხედარნო..! დაე, თავისუფალი დახვდეს ჩვენი ერი უფლის მობრძანებას საქართველოში, ამისთვის დროულად ყველამ ერთხმად უნდა შევღაღადოთ - უფალო, დიდება შენდა! დიდება!

მორიგი საბჭოური ფარსი

მიმდინარე "გარდაქმნის" პროცესებს თან ახლავს ფარისევლური მიდგომა რელიგიათა მიმართ — ერთგვარი სპეკულირება ამ თემით, რომლის დამადასტურებელი ერთერთი ფაქტიც ამა წლის დასაწყისში ღვთის განგებით ხელთ ჩაგვივარდა. ეს გახლავთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს რწმუნებულის აპარატის მიერ რესპუბლიკის რაიონულ და საქალაქო აღმასკომების თავმჯომარეთა მიმართ 1989 წლის 10 ნოემბერს დაგზავნილი აღმაშფოთებელი დოკუმენტი, საბჭოს რწმუნებულის ა. წიკლაურის ხელმოწერით.

აი ეს საბუთი (ვაქვეყნებთ მცირე შემოკლებით).

"გთხოვთ ამა წ. 10 დეკემბრამდე წარმოგვიდგინოთ რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიის 1989 წლის ანგარიში.

წლიურ ანგარიშში უნდა იყოს მოცემული თქვენს რაიონში (ქალაქში) არსებული რელიგიური ვითარების სრული სურათი, სადაც უნდა აისახოს მორწმუნეთა სოციალური შემადგენლობა და ქადაგებათა შინაარსი. ტარდება თუ არა მუშაობა სასულიერო პირთა მიერ მორწმუნეთა შორის სწორი პოლიტიკური ორიენტაციისა და მოქალაქეობრივი, პარტიული სულისკვეთების გაღვივების თვალსაზრისით. როგორია კანონიერების დაცვაზე კონტროლის განხორციელების ფორმები და მეთოდები. რა პროფილაქტიკური ღონისძიებები გატარდა კანონმდებლობის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, კანონმდებლობის დამრღვევი ცალკეული ფანატიკოსების თუ აქტიური პირების საქმიანობის აღკვეთისა და მორწმუნეთა თვალში მათი მხილებისათვის და ა. შ. ჩატარდა თუ არა საკულტო ნივთების სრულყოფილი ინვენტარიზაცია. როგორ ახორციელებენ თავის მოვალეობას რელიგიურ გაერთიანებებთან არსებული აღმასრულებელი და სარევიზიო ორგანოები: არიან თუ არა ისინი დაკომპლექტებული. მოყვანილია თუ არა სათანადო წესრიგში რელიგიური საზოგადოებებისა და ჯგუფების აღმასრულებელი ორგანოებისა და კულტის მსახურთა დოკუმენტაცია.

მონაცემები ფულადი სახსრების შესახებ (ქალაქი, რაიონი) 1989წ.
საერთო ფულადი შემოსავალი 1989წ. 1 დეკემბრისათვის.

1.რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულებიდან

2.ნებაყოფლობითი შეწირულობიდან

3.კულტის საგნებისა და სანთლის (საეკლესიო ლიტერატურის-ბიბლიის)

გაყიდვისგან (ფინგანში დაბეგვრისათვის გადასაცემად)

საერთო ფულადი გასავალი 1989 წ.

1.ეკლესიის მოსამსახურე პერსონალზე.

2.შენობის რემონტზე და შენახვაზე.

3.საკულტო საგნების და რელიგიური ლიტერატურის შეძენაზე.

4.ფულადი გადარიცხვა მშვიდობის ფონდში (...).

5.ფულადი გადარიცხვა კულტურის ფონდში (...).

6.ფულადი გადარიცხვა ძეგლთა დაცვის ფონდში (...).

7.ფულადი გადარიცხვა ბავშვთა ფონდში.

8.სხვა გასავალი: როგორი, რამდენი გაშიფრულ იქნას დაწვრილებით (...).

ფულადი სახსრების ნაშთი 1989 წ. 1 დეკემბრისათვის.

რელიგიური კულტების დარგში კანონმდებლობის დაცვის ხელშემწყობი კომისიის თავმჯდომარე (მოადგილე).

იმასთან დაკავშირებით, რომ შემაჯამებელი წლიური მონაცემები ხელმძღვანელ - ორგანოებში წელს წარდგენილ უნდა იქნას გაცილებით ადრე, გთხოვთ წლიური ანგარიში, ზემოხსენებული მასალები თანდართული შევსებული სტატისტიკური ფორმები წარმოადგინოთ მითითებულ ვადებში".

ასეთია ეკლესის მიმართ მკაცრი იდეოლოგიურ-მატერიალური რეპრესირების ამსახველი ერთერთი თანამედროვე დოკუმენტური ფაქტი, რომელიც მოსკოვის იდეოლოგიური ზედამხედველობისა და აგენტურის — რელიგიების საქმეთა სარწმუნებულოსა და სუკ-ის ერთობლივი "მოღვაწეობის" ერთგვარი ამსახველიცაა. სხვათა შორის უნდა ითქვას, მიუხედავად 80% სახ. ბეგარის და სხვა არსებული მრავალი ფონდებისა ეკლესია მაინც ეხმარება ზემოთ ჩამოთვლილ ფონდებს...

* * * *

წლეულს ერი უფრო მტკიცედ შეუდგა ეკლესიური გზით თავისუფლებისაკენ მავალ მძიმე ჯვარს ...არნახული რელიგიური აქციების შემდგომ 11 იანვარს საბოლოოდ გადაწყდა რამდენიმე წლის წინ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დაყენებული საკითხი - გამოვიდა დადგენილება სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს რწმუნებულის აპარატის გაუქმებისა, თუმცა ეს არის მთელი ქართველი ერის მოტყუების ცდა.ჩამოყალიბდა იგივე ფუნქციების აღმასრულებელი საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ორგანო. კვლავ გრძელდება: საგანმანათლებლო, ქვრივ-ობოლთა, ინვალიდთა, ხანდაზმულთა და მრავალშვილიან ქართველთა დასახმარებელი თანხების მთავრობის მიერ მითვისება (საერთო შემოსავლის 2/3).

სსრკ-ში მიმდინარე "დემოკრატიული გარდაქმნა" ემსახურება მხოლოდ მოდერნიზებული ათეისტური დიქტატურის მატერიალურ გაძლიერებას. ამჟამად სსრკ-ში ნებისმიერ კოპერატივსაც კი გააჩნია თვითმმართველობისა და განვითარების სრულყოფილი უფლებრივი საშუალებანი (ღმერთმა მოგვიტევოს ამ კუთხით შედარებისთვის), მაშინ როდესაც ეკლესიას - ქრისტიანთა გაერთიანებას არავითარი უფლება - არავითარი საკუთრება (ღვთისმსახურების საგნებიც კი "სახელმწიფო კუთვნილებაა" და იბეგრება). ყოველივე ეს და სხვა მრავალი სრულიად არ ეთანხმება ელემენტარულ საერთაშორისო მორალურ ნორმებს, სამართალსა და კაცობრივობის თანამედროვე პირობებს...

21 იანვარს, გაზეთ "კომუნისტში" გამოქვეყნდა საქ. სსრ მინ. საბჭოსთან არსებულ რელიგიების საქმეთა სარწმუნებულოს "კოლექტივის" წერილი. ჩვენ არ შევეხებით წერილის შინაარსს... ოღონდაც ერთს ვიტყვით, დასანანია, ოდესღაც (სამსახურის საშოვნელად...) საქართველოს დამპყრობელთა პარტიაში გაერთიანებულნი, ახლაც ეკლესიისა და ერის საწინააღმდეგო ინტერესების დამცველნი, ქართველები რომ არიან...

* * * *

იმასთან დაკავშირებით, რომ "გაუქმდა" სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს აპარატი და შეიქმნა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იგივე დანიშნულების ორგანო, კვლავ კატეგორიულად მოვითხოვთ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობასა და სრულ თავისუფლებას, მისი ტრადიციული-სამოციქულო წესით მართვას-აღდგენას— (როგორც ხდებოდა ეს საქართველოში ათეისტური დიქტატურის შემოჭრამდე და მის რელიგიასთან ლაპირისპირებამდე) და ამ მიზნით ხსენებული ორგანოს ლიკვიდაციას. ეკლესიას არავითარი დანამატი არ სჭირდება. დაე, აღსდგეს საქართველოში ისტორიული - დიქტატგარეშე რელიგიათა თავისუფლება, დე გზა მიეცეს ჭეშმარიტებას - დე აღმობრწყინდეს მზე სიმართლისა... ამინ!

* * * *

ჩვენს მოთხოვნებს წარმოადგენს აგრეთვე.

1.დაუყოვნებლივ გამონთავისუფლდეს და ამოქმედდეს საპატრიარქოს კუთვნილი "ლურჯი მონასტრის" ტაძარი.

2.დაუყოვნებლივ გამონთავისუფლდეს და დაუბრუნდეს საპატრიარქოს კუთვნილი რეზიდენცია (სადაც მოღვაწეობდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ქრისტეს მახვილით მებრძოლი პატრიარქები: კირიონი, ლეონიდე და ამბროსი).

3.არავითარი საგარაკო ნაგებობა, ბეთანიის მონასტრის - წმიდა ბერების საძვლესა და ნავსაყუდელთან მიმდებარე ტერიტორიაზე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლისა (ანუ ეკლესიის წევრთა) და სასულიერო სემინარია-აკადემიის სტუდენტთა სახელით.

ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა

იდეოლოგიურად და მატერიალურად გაკოტრებული ათეისტური წითელი დრაკონის დიქტატურა ეძებს გამოსავალს. იგი იარსებებს მანამ, სანამ მსოფლიოში განხნეულ მწვალებელთა (ერეტიკოსთა) გაერთიანებას - ეკუმენიზმს არ შეეყოფა-არ შეეთვისება იგი. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც მიხეილ გორბაჩოვის მოღვაწეობა ამ მიმართებით - შეხვედ რები რომის პაპთან და მასონთა ლოჟის მაგისტრთან, რუსული "მართლმადიდებელი ეკლესიის" ამ ჟამიერი საქმიანობა...

დიქტატურა, რომელიც ჩამოყალიბდა ანტიქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე, მხოლოდ მართლმადიდებლობის - ჭეშმარიტი სარწმუნოების ირგვლივ კონსოლიდაციით შეიძლება დაძლეულ იქნეს საქართველოში, ვინაიდან (კაცობრივ და არა სარწმუნოებრივ ენაზე რომ ვიმსჯელოთ) თავისუფლების მტერმა, ჩვენს მიერ რელიგიურ — განმანთავისუფლებელი საკითხის მკვეთრად წამოჭრის შედეგად, ან დროზე ადრე უნდა გაამჟღავნოს თავისი თავი - ჩაშალოს ზრახვა მოდერნიზებული იდეოლოგიით მსოფლიო ბატონობისა, ან კლანჭი გაუშვას მართლმადიდებელი მოძღვრებითა და სულით შემოსილ ღვთივ, გამორჩეულ ერს.

ეროვნული გამოღვიძების ხანაში კრემლის აგენტურა კოსმოპოლიტიზმის მქადაგებელ რელიგიებს მოხერხებულად იყენებს. კომუნიზმის იდეოლოგია, კრიშნაიზმი, ბაპტიზმი, იეღოვიზმი და სხვა სექტანტური კონფესიები მსოფლიო და ეროვნულ წმინდანთა (და მათი ხატების...) უარყოფით ცდილობენ, მივიწყებას მიეცეს ეროვნული სული - მისი თვითმყოფადობა: ერის კულტურა, ტრადიციები, ისტორია და მისგან განუყოფელი ეკლესიის ისტორია - წმიდა მეფეთა და წმიდა მამათა ცხოვრება. ღმერთთან კავშირის გაწყვეტის - ეროვნებათა და რელიგიების აღრევის-კოსმოპოლიტიზმისა და ეკუმენიზმის, ანუ რელიგიური "ინტერნაციონალიზმის" საშუალებით ანტიქრისტე ხელოვნურად, არა ჭეშმარიტი ერთობის, არამედ აღრევისა და თვით გაბატონების სანუკვარი მიზნისთვის იღვწის.

ქართველი ერის ისტორია ეს წმინდანთა და ეკლესიის ცხოვრების

ისტორიაა, ეკლესიისა, რომელმაც შეგვინარჩუნა ეროვნული სული, ენა და მამული. ყოვლად მიუტევებელი და სამარცხვინო ფაქტი იქნება, რომ სსრკ შემადგენლობიდან გასვლის მთავარ არგუმენტად ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა და რელიგიურ - განმანთავისუფლებელი პრობლემა არ ვაღიაროთ, მითუმეტეს, რომ სსრკ სინდისის თავისუფლების ახალი კანონპროექტიც სახარბიელოს არას გვპირდება...

"მე რომელი ვიხილე მამისა ჩემისა თანა, მას ვიტყვ, და თქუენ რომელი იხილეთ მამისა თქუენისა თანა, მას ჰყოფთ... თქუენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულის თქუმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რამეთუ იგი კაცის-მკვლელი იყო და ჭეშმარიტებას არა დაადგა დასაბამითგან, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ არა არს მის თანა..." (იოანე 8. 38,44).

მთელი ბიბლია-ღვთის სიტყვა დაწერილია ერის ხსნისათვის, ასახავს კაცობრიობის ისტორიას და მის მომავალს. ელემენტარული ბიბლიური ჭეშმარიტებაა, რომ ერმა უნდა მიხედოს ეკლესიას - გაერთიანდეს მასთან და ღმერთი იხსნის მას ხილულ თუ უხილავ მტრისაგან-გამოიყვანს და დაიცავს ყველაზე უიმედო დროს... ამინ!

მესამე და უკანასკნელი პერიოდი ანტიქრისტეს მოქმედებისა

(ნაწყვეტი პროტოპრესვიტერ მიხეილ მოლჩანოვის წიგნიდან "ანტიქრისტე").

...მესამე და უკანასკნელი პერიოდი ანტიქრისტეს მოქმედებისა დაიწყება მსოფლიო ხელისუფლების მოპოვებით. საყოველთაო მსოფლიო მართვა, რომელიც მოექცევა ანტიქრისტეს ხელში, უმრავლესობის მიერ მიჩნეულ იქნება, როგორც ერთადერთი გზა კაცობრიობის შემდგომი აყვავებისაკენ... ლაკტანციუსი წერდა: როცა ხალხები მეტისმეტად გაამრავლებენ ჯარებს და ხვნა-თესვას დაივიწყებენ - რაც გაპარტახებისა და დამარცხების ნიშანია - მაშინ ჩრდილოეთის ქვეყნის განაპირა მხარიდან უეცრად აღსდგება უძლიერესი მტერი ის გახდება ყველას მბრძანებელი და ეს იქნება ანტიქრისტე. "და მტკიცე იყოს ძალი მისი და არა ძალითა მისითა" (დანიელი.VIII, 24) ძალა და ძალაუფლება ანტიქრისტემ სატანისგან მიიღო, რომლის წინაშე უძლურია ყოველგვარი ადამიანური ძალისხმევა. მსოფლიო მონარქად აღიარებისთანავე ანტიქრისტეს საყოველთაოდ მიიჩნევენ ყველა რელიგიის სულიერ მეთაურად. ვლადიმერ სოლოვიოვმა თავის უკანასკნელ შრომაში, რომელსაც "სამი საუბარი" ეწოდება, ივარაუდა, რომ როცა ძალაუფლებას მოიხვეჭს, ანტიქრისტე მოიწვევს ყველა რელიგიათა მსოფლიო კრებას, რომელზედაც წამოაყენებს წინადადებას რელიგიების ერთი მწყემსის მორჩილებაში გაერთიანების შესახებ. მთავარ ყურადღებას ქრისტიანებს მიაქცევს და მეუფედ აღიარების საზღაურად ყოველგვარ მფარველობას დაპირდება. "ის საყვირს დასცემს თავისი თავისთვის, წერს წმ. ეფრემ ასური, - ისევე, როგორც ხმობდნენ მისთვის წინასწარმეტყველები, დაირქმევს მქადაგებელს, ჭეშმარიტი ღვთის შემეცნების მოამაგეს, აღთქმულ მესიას. უმეცარი ქრისტიანები მასში ჭეშმარიტი რელიგიის ქომაგს დაინახავენ"... (წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი 106-ე სიტყვა, ნაწილი 2. IV, გვ. 301).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს

უმორჩილესად გთხოვთ, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ასლმა უახლოეს მომავალში შემოიაროს ქალაქ თბილისის შემოგარენი, ეწვიოს მცხეთასა და სხვა ქალაქებს.

საიდუმლო ომი

იმ დროს როდესაც მოსკოვი გამალებით ამარაგებს კრიშნაიდებსა და სხვა სექტანტებს ანტიქრისტიანული (და ანტიეროვნული) ლიტერატურით, საქ. სსრ კპ ცკ-ის იდეოლოგიური განყოფილების ყოფილი გამგე ვ. ლორთქიფანიძე და სულიერი ძმანი მისნი, საკმაოდ ხშირად იბარებენ ბეჭვდითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარეს რ. ღლონტს კოლეგებითურთ და მკაცრად აკრიტიკებენ, პოლიტიკურ და განსაკუთრებით კი რელიგიურ თვითგამოცემათა (ანუ ჟურნალ "ლაზარეს აღდგინების") ბეჭვდის გამო, ხოლო ეს უკანასკნელი კი სტამბის დირექტორებთან თათბირებზე განსაკუთრებული სიმკაცრით ეხება ამ საკითხს... სტამბათა ხელმძღვანელები არანაკლებ ტერორიზებას განიცდიან სუკ-იდან. მათი წარმომადგენლები პირდაპირი თუ ფარული წესით დაძრწიან საამქროებში, აწარმოებენ გამოკითხვასა და მოურიდებელ დაზვერვას. ამჟამად მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ფაქტს.

N12 სტამბაში შაბათს, 20 ნოემბერს, სახელმწიფო შეკვეთის დასრულებაზე მუშაობდა მბეჭდავი ითარ ქვათაძე. მოულოდნელად მის კარებზე ატყდა საზარელი ხმაური. კარის გაღების შემდგომ მის თვალწინ აღიმართა ორი "დუბლიონკა" გადაღებული ახალგაზრდა მამაკაცი, რომელთაც ქამრიდან პისტოლეტები მოუჩანდათ. ყოველგვარი ცერემონიის გარეშე მათ საგულდაგულოდ გაჩხრიკეს საამქრო. ქვათაძის კითხვაზე, თუ რას ეძებდნენ ისინი, მათ პროვინციული კილოთი უპასუხეს, მოპირდაპირე სახლიდან კარგად ჩანს საამქრო შაბათობისაც რომ მუშაობს.

ორი დღის შემდგომ სტამბის დირექტორი შოთა თოფურიძე დაიბარეს პირველი მაისის რაიკომის მდივანთან, რომელმაც ესოდენ მკაცრად განუმარტა, რომ მიღებულია სიგნალი თვითგამომცემლობითი ლიტერატურის ბეჭდის შესახებ, რასაც შეიძლება ფრიად ცუდი შედეგი მოჰყვესო...

მოსკოვის იდეოლოგიური დიქტატის ერთერთმა აღმასრულებელმა ორგანომ (და აგენტურამ) სუკ-მა საიდუმლო ომი გამოუცხადა ჭეშმარიტი რელიგიის ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გავრცელებას საქართველოში, ამასთან დაკავშირებით არცერთი სტამბა აღარ ღებულობს "ლაზარეს აღდგინება" N4-ს წარმოებაში "ხელისუფლების ნებართვის გარეშე." იყო რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ბეჭდვითი ოპერაციისათვის დილით გადაცემული და ჩაშვებული ნომერი საღამოს დამწუხრებულმა სტამბის მუშაკებმა უკან დააბრუნეს...

წმიდა მამათა ლოცვითა და თანადგომით "ლაზარეს აღდგინების" მდევნელნი შეინანებენ, ან თვით განიდევნებიან ღვთისმშობლის წილხვედრ და ქრისტეს მეგობარ ლაზარე—საქართველოდან. ჭეშმარიტად—ამინ!

ქართველი ერის თავისუფლება-ეკლესიის დამოუკიდებლობაშია ერის ერთობისა და აღორძინების გარანტი სამოციქულო ეკლესიის ტრადიციულ მართვა—გამგებლობასა და აღორძინებაშია.

ჟამი ერთობისა

"და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ" (იოანე. 8, 32).

"არა დასცხრეს გულის წყრომაჲ ჩემი წინააღმდგომთა შორის"... (ესაია 4.23).

"რომელი არ არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს" (ლუკა.11.23).

" რომელი არა არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს" (ლუკა 9. 50).

ერის გამაერთიანებელი მხოლოდ ღმერთია. ყოველნი — რომელნი ნებსით, თუ უნებლიედ შეეცდებიან ერისა და ეკლესიის გათიშვას და მით საღვთო მოწოდებისადმი წინააღდგომას სახელისა ეფლისათვის მხილებულ იქნებიან საჯაროდ. მოსკოვის აგენტურა, ვერც სამაჩაბლოში და ვერც სხვაგან საქართველოში ვერას გახდება, იმიტომ რომ ჭეშმარიტად ჩვენთან არს ღმერთი!

ყოველ შაბათს გიწვევთ წმ. ილია მართლისა და აკაი წერეთლის ძეგლთან-დღის თორმეტ საათზე ეკლესიურ-განმანთავისუფლებელ საკითხზე მსჯელობისათვის. ველით ყველა მართლმორწმუნე გულშემატკივარს.

მხოლოდ წმიდა სარწმუნოებრივი თვითშეგნების შემდგომი აღმავლობა და იესო ქრისტე იხსნის ერს გარემომდგარი მტრისგან... ამინ!

ინფორმაცია

გასული წლის შემოდგომაზე საზოგადოება "საქართველოს მახარებლის" სახელით ცნობილი ქართველი ბაპტისტები გ.გომელაურის ხელმძღვანელობით ნ.ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიის ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობისაგან "ეკლესიის გახსნის მიზნით" ხელმოწერებს აგროვებდნენ... გულუბრყვილო მოსახლეობა წვერმოშვებულ ვაჟკაცებს საპატრიარქოს თანამშრობლებად და ეკლესიის მრევლად აღიქვავდნენ, მაგრამ მალე გამოირკვა, ეს უკანასკნელნი განსაკუთრებული სახის სექტანტები რომ ბრძანდებოდნენ. იმავე მოსახლეობის მოთხოვნითა და კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ტაძარში მართლმადიდებელი მღვდელი — ჩინებული ახალგაზრდა მოძღვარი, მამა თეიმურაზი დაინიშნა.

* * * *

გასული წლის 23 ნოემბერს სტუდქალაქის შესასვლელთან ჩვენი ყურადღება მიიპყრო აბრამ, "ქართველ ქრისტიანთა საზოგადოება საქართველოს მახარებელი გიწვევთ ლექციაზე". სწორედ ამ დეზინფორმაციული აბრის გამო ჩვენც გამოვცხადდით "ლექციაზე", რაც დაიწყო, იმით რომ ლექტორებიც თითქოსდა მართლმადიდებელნი იყვნენ, შეიძლებოდა მათთან ერთად სასულიერო - საგანმანათლებლო მიმართებით მოღვაწეობა, ლოცვა და სხვა...

ჩვენ მათ კონკრეტულად მივუთითეთ, რომ ყოვლად დაუშვებელია საზოგადოების ასეთი დეზინფორმაცია, განსაკუთრებით კი აბრის მეშვეობით, ვინაიდან მათ ბეჭედზე ამოტიფრულია "სახარების რწმენით მონათლულ ქრისტიანთა საზოგადოება საქართველოს მახარებელი"...

* * * *

22—25 იანვარს ჩატარდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების პირველი კონფერენცია, რომელსაც რატომღაც ესწრებოდა რელიგიური (სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ ქართველ ბაპტისტთა) ორგანიზაცია "საქართველოს მახარებელი", რომლის მეთაურმაც გ. გომელაურმა "ერის ინტერესებიდან გამომდინარე" შეკრებილთა ყურადღება რელიგიურ გაერთიანება — ეკუმენიზმზე გაამახვილა და მის პროპაგანდას ეცადა... ახალგაზრდა ქრისტიან— დემოკრატთა კავშირისა და ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა ამ ორგანიზაციის რელიგიური მხილების შემდგომ ერთხმად დასტოვეს კონფერენცია. ასადგომად განემზადნენ სირცხვილეული "მქადაგებლებიც"... მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის, კვლავ შეგვეწიოს უფლის წინაშე წმ. მეფე დავით აღმაშენებლისა და ყველა ქართველი წმინდანის ლოცვა. ამინ!

რედაქტორი—საზოგადოების გამგე
მერაბ სულაქველიძე ტ. 22—25—13.
რედაქტორის მოადგილე
სიმონ წერეთელი. ტ. 95—24—57

ფსალმუნი 90 (მტრის საწინააღმდეგო)

1. რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მაღლისაჲთა, საფარველსა ღმრთისა ზეცათასა განისუენოს.
2. ჰრქუას უფალსა: ხელისაღმპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას.
3. რამე თუ მან გიხსნეს შენ საფრთხისა მისგან მონადირეთაჲსა და სიტყვისა მისგან განსაკრთომელისა.
4. ბეჭთსაშუალითა მისითა გვფარავდეს შენ, და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე;
5. საჭურველად გარემოგადგეს შენ ჭეშმარიტებაჲ მისი.
6. არა გეშინოდის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი; ღუაწლისაგან, რომელი ვალნ ბნელსა შინა, შემთხუევისაგან და ეშმაკისა შუადღისა.
7. დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი - მარჯუენით შენსა, ხოლო შენ არა მიგეახლნენ.
8. ხოლო შენ თუალითა შენითა ხედვიდე და მისაგებელი ცოდვილთაჲ იხილო,
9. რამეთუ შენ, უფალი, ხარ სასო ჩემდა და მაღალი გიყოფიეს შესავედრებელად შენდა.
10. არა შევიდეს შენდა ძვირი, და გუემაჲ არა მიეახლოს საყოფელთა შენთა.
11. რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთვის დაცვად შენდა ყოველთა გზათა შენთა;
12. ხელთა მათთა ზედა აღგიპყან შენ, ნუსაღა წარსცე ქუასა ფერხი შენი;
13. ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვიდოდე და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი.
14. რამეთუ მე მესვიდა, და ვიხსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი.
15. ხმა-ჰყოს ჩემდამო, და მე ვისმინო მისი და მის თანა ვიყო ჭირსა შინა; ვიხსნა იგი და ვადიდო იგი.
16. დღეგრძელებითა განვაძღო იგი და უჩუენო მას მაცხოვრებაჲ ჩემი. დიდება.

მოწყალეს კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა, რომელნი ესე შენ გეესავ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტეანეოასა.

უფალო შეგვიწყალენ (12-ჯერ)